დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ22 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 6 აპრილის №ძ 46 ბრძანებითა და 2021 წლის 18 მაისის №ძ 99 ბრძანებით.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“

კვლევის დაფინანსების წესი

2021 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის განაცხადის დაფინანსების წყარო 3

მუხლი 3. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის კონკურსის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები 3

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსის ინიცირება და გამოცხადება 3

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსში განაცხადის წარდგენის უფლების მქონე პირი 4

მუხლი 6. საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია 4

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის ფორმირება 5

მუხლი 8. საპროექტო განაცხადის შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ 5

მუხლი 9. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები 6

მუხლი 10. უკუკავშირი საპროექტო განაცხადის ავტორ(ებ)თან 6

მუხლი 11. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია) 6

მუხლი 12. კვლევითი პროექტის დაფინანსება და ხელშეკრულების გაფორმება 7

მუხლი 13. ანგარიშვალდებულება 7

დანართი № 1 9

დანართი № 2 10

დანართი № 3 11

დანართი № 4 13

დანართი №5 15

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კვლევის დაფინანსების წესი (შემდგომში - „წესი“) განსაზღვრავს კვლევითი კონკურსის გამოცხადების, სამეცნიერო - კვლევითი პროექტის წარდგენის, კვლევის დაფინანსების წესსა და პირობებს.

2. დოკუმენტის მიზანია კვლევის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, გამჭვირვალე, სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცედურების დანერგვა.

მუხლი 2. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის განაცხადის დაფინანსების წყარო

სამეცნიერო - კვლევითი პროექტის კონკურსის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წყაროს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი თანხა, რომლის ათვისებაც წლის განმავლობაში ხდება ეტაპობრივად ან ერთჯერადად.

მუხლი 3. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის კონკურსის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები

კონკურსის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა. კონკურსის ინიცირება და გამოცხადება;

ბ. საკონკურსო კომისიის ფორმირება;

გ. საპროექტო განაცხადის შეფასება;

დ. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება დაფინანსების ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;

ე. აპელაციის შემთხვევაში, მმართველი საბჭოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

ვ. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა;

ზ. სამეცნიერო - კვლევითი პროექტის შესრულების შესახებ ანგარიშგება.

მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსის ინიცირება და გამოცხადება

1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსის ინიცირებას, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიას, ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტისთვის ყოველწლიურად გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე/დეკანი მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების მიზნით კომისიის დამტკიცების თაობაზე და წარუდგენს კომისიის შემადგენლობას.

3. საპროექტო განაცხადების მიღების საბოლოო ვადა არ შეიძლება იყოს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსის გამოცხადებიდან 1 (ერთი) თვეზე ნაკლები.

4. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსის ინიცირება ხდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ თითოეული ფაკულტეტის მიერ.

მუხლი 5. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსში განაცხადის წარდგენის უფლების მქონე პირი

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კონკურსში განაცხადის წარდგენის უფლება აქვს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს და არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს, რომელიც სხვა უნივერსიტეტთან არ არის აფილირებული. არააფილირებულ აკადემიურ პერსონალს კონკურსში განაცხადის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თანახმაა პროექტი განახორციელოს ქუთაისის უნივერსიტეტის სახელით.

მუხლი 6. საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია

1. საპროექტო განაცხადი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურში.

2. საკონკურსო განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა. განაცხადის ფორმა (დანართი № 1);

ბ. საპროექტო განაცხადი უნივერსიტეტის ფორმატში (დანართი № 2);

გ. განაცხადის ყველა მონაწილის CV/რეზიუმე;

დ. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდლობით გათვალისწინებული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი);

ე. კვლევით პროექტში უნივერსიტეტის სტუდენტის ჩართულობის შემთხვევაში, სტუდენტის ცნობა;

ვ. პროექტის ბიუჯეტი და დასაბუთება (დანართი№3);

ზ. ინფორმაცია თანადაფინანსებაზე (არსებობის შემთხვევაში);

თ. თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებაზე.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს საკონკურსო დოკუმენტაციის ინგლისურ ენაზე წარმოდგენა.

4.უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური საპროექტო განაცხადს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ადგენს წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში კონკურსანტს განესაზღვრება ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ოდენობით, დადგენილ ვადაში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საკონკურსო განაცხადი არ განიხილება.

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის ფორმირება

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით. კომისიის წევრებს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი. კომისიის წევრობის უფლება აქვს შესაბამისი სფეროს ექსპერტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა. აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ. აქვს კვლევითი საქმიანობის გამოცდილება შესაბამის სფეროში;

გ. აქვს პუბლიკაციები საპროექტო განაცხადის სფეროში.

მუხლი 8. საპროექტო განაცხადის შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ

1. საპროექტო განაცხადის შეფასების საფუძველზე, დასკვნის მომზადებას ახორციელებს საკონკურსო კომისია.

2. საპროექტო განაცხადი ფასდება ანონიმურად; შეფასების პროცესის დროს დაცულია კონფიდენციალურობა. ექსპერტების ვინაობა არ საჯაროვდება.

3. პირველ ეტაპზე, წინადადებები შესაფასებლად ეგზავნება თითოეულ ექსპერტს, რომლებიც ქულებით აფასებენ პროექტს და წარმოადგენენ შენიშვნებს (დანართი №4).

4. კომისია დასკვნას (შეფასების შემაჯამებელი დასკვნა) ამზადებს ყველა ექსპერტის მიერ მოწოდებული წინადადებების საფუძველზე, მსჯელობის შედეგად.

5. საკონკურსი კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა. კვლევითი პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ;

ბ. კვლევითი პროექტის ნაწილობრივ დაფინანსების შესახებ;

გ. კვლევითი პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ.

6. კომისია უფლებამოსილია კონკურსის გამარჯვებული პროექტის ავტორს, საჭიროების შემთხვევაში განუსაზღვროს ვადა ეთიკის კომიტეტის დასკვნის წარმოსადგენად.

მუხლი 9. საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები

საპროექტო განაცხადის შეფასება კომისიის წევრების მიერ ხდება წინასწარ განსაზვრული კრიტერიუმებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა(დანართი №4). სავალდებულოა შეფასების განმარტება თითოეული კრიტერიუმით შეფასებისას. შენიშვნები უნდა იძლეოდნენ საფუძველს შესაბამისი ქულების დასაწერად. თითოეული კრიტერიუმით შეფასების მაქსიმალური ქულაა - 10, ხოლო მინიმალური - 0. საპროექტო განაცხადი სულ ფასდება 9 (ცხრა) კრიტერიუმით. საპროექტო განაცხადმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 70 (სამოცდაათი) ქულა.

მუხლი 10. უკუკავშირი საპროექტო განაცხადის ავტორ(ებ)თან

თითოეული განაცხადის ავტორი იღებს შეფასების შემაჯამებელ დასკვნას, რომელიც ასახავს როგორც კომისიის საერთო შეფასებას (მათ შორის, ცვლილებების შეტანის და გამონაკლის შემთხვევებში, სხვა პროექტთან შერწყმის შეთავაზებით), ასევე, თითოეული კრიტერიუმის შეფესებასა და შენიშვნებს.

მუხლი 11. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, საპროექტო განაცხადის ავტორი უფლებამოსილია უნივერსიტეტის მმართველ საბჭოში გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება.

2. თუ საჩივარი ეხება პროცედურული ხასიათის დარღვევებს, მმართველი საბჭო უფლებამოსილია თავად განიხილოს წარდგენილი საჩივარი და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა. გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

3. თუ საჩივარი საპროექტო განაცხადის შეფასების შინაარსობრივ ნაწილს ეხება, მმართველი საბჭო უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი სააპელაციო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც მიიღებს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას. სააპელაციო კომისიის საქმიანობა რეგულირდება წინამდებარე დოკუმენტში საკონკურსო კომისიისათვის დადგენილი ნორმებით.

მუხლი 12. კვლევითი პროექტის დაფინანსება და ხელშეკრულების გაფორმება

1. კომისიის მიერ ამ წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს რექტორს კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ.

2. კონკურსის საფუძველზე ფინანსდება საუკეთესო შედეგის მქონე ერთი საპროექტო განაცხადი.

3. საპროექტო განაცხადების მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი ტური, სადაც საპროექტო განაცხადის ავტორი წარმოადგენს კვლევითი პროექტის პრეზენტაციას. შეფასებას ახორციელებს კომისია იმავე შემადგენლობით. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

4. წარმოდგენილი პროექტის მიმართ არსებული ინტერესის გათვალისწინებით, რომელმაც დაიმსახურა მაღალი შეფასება, მაგრამ პროექტის ბიუჯეტი აღემატება საკონკურსო განაცხადით განსაზღვრულ ბიუჯეტის ოდენობას, კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის პრეზიდენტთან შეთანხმებით უფლებამოსილია გაზარდოს საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული ბიუჯეტის ოდენობა.

5. რექტორის სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კვლევითი პროექტის დაფინანსების ოდენობა, რის საფუძველზეც მხარეებს შორის ფორმდება ხელშეკრულება „კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ“.

6. „კვლევითი პროექტის დაფინანსების შესახებ“ ხელშეკრულებით განისაზღვრება: კვლევითი პროექტი, მკვლევარი/კვლევაში ჩართული სხვა პირები, დაფინანსების ოდენობა, ანგარიშსწორების ეტაპები, მხარეთა ურთიერთსანაცვლო ვალდებულებები, ანგარიშების წარმოდგენის ვადები და ა.შ.

მუხლი 13. ანგარიშვალდებულება

1. კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით (კვარტალში ერთხელ) ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს შუალედური

ანგარიში კვლევის მიმდინარეობის შესახებ ან საბოლოო ანგარიში წინასწარ შემუშავებული ანგარიშის ფორმის შესაბამისად (დანართი №5).

2. კვლევითი პროექტის ხელმძღანელის მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად თუ დადგინდა, რომ კვლევა მიმდინარეობს ვადების დარღვევით, კვლევითი პროექტის ხელმძღანელი ვალდებულია წარადგინოს ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის დადგომის ხელისშემშლელი გარემოებების თაობაზე.

3. ვადის დარღვევის ობიექტური საფუძვლის გათვალისწინებით, მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ კვლევითი პროექტის შესრულების ვადის ცვლილების შესახებ. აღნიშნული ცვლილება აისახება მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

4. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის შესაბამისად, კვლევითი პროექტის ხელმძღანელი ვალდებულია კვლევითი პროექტის სრულად შესრულების შესახებ ანგარიში წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს კვლევითი პროექტის ხელმძღანელის მიერ წარდგენილ ანგარიშს.

5. კვლევით პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ, კვლევითი პროექტის ხელმძღანელი ვალდებულია უზრუნველყოს უნივერსიტეტის პერსონალისთვის, სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის კვლევითი პროექტის განხორციელებისა და შედეგების, კვლევის პრაქტიკული და თეორიული ღირებულბების შესახებ ინფორმაციის გაზიარება შეხვედრების/დისკუსიების და ა.შ. მეშვეობით.

განმცხადებელი:

სახელი, გვარი:

ID ნომერი:

აკადემიური ხარისხი:

დაბადების თარიღი:

ტელეფონი:

ელ. ფოსტა:

მისამართი:

უნივერსიტეტი: ქუთაისის უნივერსიტეტი

აკადემიური პოზიცია და აფილირება:

ფაკულტეტი

განცხადება

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განაცხადი შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ---------- **სამეცნიერო-კვლევითი პროექტის** კონკურსში მონაწილეობისთვის.

პროექტის სახელწოდება: ----------

კვლევითი პროექტის მიმართულება:

კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა: (თვე)

უნივერსიტეტისაგან მოთხოვნილი თანხის რაოდენობა: (ლარი)

განცხადებაზე ხელისმოწერით ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ ინფორმაციას. ასევე თანახმა ვარ უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გადამოწმებასა და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსიდან მოიხსნას ჩემს მიერ წარდგენილი საპროექტო განაცხადი.

ხელმოწერა: _____

თარიღი: __/__/_____

საპროექტო განაცხადი

წინადადება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სტანდარტებს:

შრიფტის ზომა -10, გარდა ცხრილებისა, სადაც შრიფტის მინიმალური ზომა შეიძლება იყოს 8. ინტერვალი მწკრივებს შორის -1. A4 ფორმატი; გვერდების ველები - 15 მმ; Arial or Times New Roman ან Sylfaen

პროექტის სახელწოდება:

პროექტის ხანგრძლივობა:

მოთხოვნილი თანხა (ლარი):

თანადაფინანსება (არსებობის შემთხვევაში) (ლარი):

პროექტის ხელმძღვანელი (მკვლევარი):

პროექტის თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

1. კვლევითი პროექტი

ა. აქტუალობა/სიახლე/საკვლევი საკითხი;

ბ. კვლევის მიზნები/ამოცანები;

გ. კვლევის მეთოდოლოგია;

დ. მოსალოდნელი შედეგები/სამეცნიერო/პრაქტიკული ღირებულება;

ე. კვლევის შედეგების გავრცელების/დისემინაციის გეგმა.

2. პროექტის განხორციელება

ა. საჭირო მატერიალურ/ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსები (დეტალური აღწერითა და დასაბუთებით);

ბ. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი.

პროექტის ბიუჯეტი

ინდივიდუალური ფინანსური მხარდაჭერა (სრული განაკვეთი)			**მოთხოვნილი თანხა**
სახელი და გვარი	თვიური ანაზღაურება	თვეების რაოდენობა	
ინდივიდუალური ფინანსური მხარდაჭერა ჯამში			
საჭირო აღჭურვილობა, რესურსი და მომსახურება *(გთხოვთ, ჩამოთვალოთ. თითოეული მათგანი აუცილებელია განმარტოთ ბიუჯეტის ვერბალური აღწერის ნაწილში)*			--------
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
რესურსისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება			
მგზავრობა *(გთხოვთ, განმარტოთ ბიუჯეტის ვერბალური აღწერის ნაწილში)*			--------
ქვეყნის ტერიტორიაზე მგზავრობა			
ქვეყნის ტერიტორიაზე სამივლინებო ხარჯები (Per Diem)			
საერთაშორისო მგზავრობა			
საზღვარგარეთ ცხოვრებისა და სამივლინებო ხარჯები (Per Diem)			
მგზავრობის სხვა ხარჯები (მაგ. ვიზის, კონფერენციაზე რეგისტრირების და ა.შ. ხარჯები)			
მგზავრობის ხარჯები სულ			
სხვა ხარჯები *(გთხოვთ, განმარტოთ ბიუჯეტის ვერბალური აღწერის ნაწილში)*			
მოთხოვნილი თანხა სულ			
არსებობის შემთხვევაში: სხვა წყაროებიდან მიღებული დაფინანსება *(გთხოვთ, განმარტოთ ბიუჯეტის ვერბალური აღწერის ნაწილში)*			

ბიუჯეტის ვერბალური აღწერა:
აღჭურვილობა, რესურსი და მომსახურება:
მოგზაურობა:
შენიშვნა:

#	შეფასების კრიტერიუმები	შეფასება
1	**პრობლების აქტუალობა:** პროექტი მიმართულია სახელმწიფო, რეგიონული, ეროვნული, ან საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემის/პრობლემების გადაჭრისკენ წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს	10 ქულა
2	**მიზნები და ამოცანები:** გადასაჭრელი პრობლემა ან გამოწვევა მკაფიოდაა განსაზღვრული და განმარტებული; ჰიპოთეზები და საკვლევი კითხვები ზუსტადაა ჩამოყალიბებული; პროექტის მიზანი მიღწევადია; ამოცანები რეალისტურია და მიზნების შესაბამისი.	10 ქულა
3	**კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები**: პროექტის მიზნების მისაღწევად შერჩეულია სათანადო მეთოდოლოგია; მონაცემთა ანალიზისთვის შერჩეულია სათანადო მეთოდები.	10 ქულა
4	**კვლევის დაგეგმვა და განხორციელება** კვლევის განხორციელების პროცედურები და ეტაპები დეტალურადაა გაწერილი; პროექტის გეგმის ყველა ნაბიჯი ზუსტადაა აღწერილი. გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი პროცედურა რისკების მართვის, მონიტორინგისა და შეფასების ჩათვლით; გათვალისწინებულია კვლევის ეთიკის პრინციპები.	10 ქულა
5	**მოსალოდნელი შედეგები** მოსალოდნელ შედეგებს გააჩნიათ სამეცნიერო ან/და პრაქტიკული ღირებულება; პროექტი უზრუნველყოფს შესაბამისი კვლევის სფეროში არსებული ცოდნის შემდგომ განვითარებას.	10 ქულა

6	**ბიუჯეტი და რენტაბელობა**: საბიუჯეტო მოთხოვნა ადექვატური და მკაფიოდ დასაბუთებულია; ხარჯები სათანადო და გონივრულია; საერთო ბიუჯეტი რეალისტურია პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად; პროექტი ითვალისწინებს რესურსების რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებას.	10 ქულა
7	**პერსონალის/მკვლევარის შესაძლებლობები:** წამყვანი მკვლევარის/მკვლევარების კვალიფიკაცია სათანადოა; გათვალისწინებულია მკვლევართა საკმარისი რაოდენობის ჩართვა; პროექტი ხელს უწყობს სტუდენტების და/ან ახალგაზრდა მეცნიერების პროფესიულ განვითარებას.	10 ქულა
8	**ინსტიტუციონალური გარემო:** უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური, ტექნიკური გარემოს შექმნა.	10 ქულა
9	**კომუნიკაცია და გავრცელება:** პროექტი გვთავაზობს სათანადო სტრატეგიას და ზომებს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიებს შორის შედეგების გასავრცელებლად. წარმოდგენილია პროექტის შედეგების გამოქვეყნების რეალისტური გეგმა სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციებისა და შეხვედრების მეშვეობით.	10 ქულა

დანართი №5

კვლევითი საგრანტო პროექტის მიმდინარეობის კვარტალური ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია

1	**საგრანტო ხელშეკრულების თარიღი**	
2	**საანგარიშო პერიოდის №**	
3	**ანგარიშის ტიპი** • შუალედური • საბოლოო	
4	**საგრანტო პროექტის სახელწოდება:**	
5	**კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა პროექტი:** (კონკურსის/პროგრამის სახელწოდება, წელი)	
6	**პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:**	
8	**პროექტის ხანგრძლივობა (თვეების რაოდენობა):** • პროექტის დაწყება (რიცხვი/თვე/წელი): • პროექტის დასრულება (რიცხვი/თვე/წელი):	
9	**პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:**	

10	საანგარიშო პერიოდისთვის დარჩენილი თანხა	

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: _____

1. სამეცნიერო პროექტის მიზნები და ამოცანები

მოცემულ გრაფაში მიუთითეთ განხორციელებული სამეცნიერო პროექტის მიზნები და ამოცანები

2. სამეცნიერო პროდუქტიულობა

კვლევითი პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სამეცნიერო პროდუქტები

2.1. საგრანტო პროექტის მსვლელობისა და განხორციელების შედეგად მომზადებული და გამოქვეყნებული პუბლიკაცია *(მიუთითეთ პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული პროდუქტები ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან):*

- საერთაშორისო და ადგილობრივ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში/გამოცემებში გამოქვეყნებული სტატია

№	ავტორ(ებ)ი	სტატიის სათაური	ჟურნალის სათაური	ტომი / გამოცემა	გამოცემის თარიღი	გამომცემლობა	ადგილობრივი / საერთაშორისო *(მიუთითეთ ერთ-ერთი)*	სტატიის სტატუსი *(გამოცემული / მიღებული / წარდგენილი)*	ინტერნეტ-ბმული / DOI
1									
2									
3									

- წიგნები, მონოგრაფიები ან სხვა არაპერიოდული, ერთჯერადი გამოცემები *(წიგნები, მონოგრაფიები, ნაშრომები ან მსგავსი გამოცემები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო პროექტის შედეგად ცალკე გამოცემის სახით)*

№	ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სათაური	ტომი / გამოცემა	გამოცემის თარიღი	გამომცემლობა	ადგილობრივი / საერთაშორისო *(მიუთითეთ ერთ-ერთი)*	გამოცემის სტატუსი *(გამოცემული / მიღებული)*	გვერდების რაოდენობა	ინტერნეტ - ბმული
1									
2									
3									

- საკონფერენციო თეზისები და სხვა გამოცემები *(ჩამოთვალეთ საკონფერენციო თეზისები, ან სხვა გამოცემები, რომლებიც არ არის ზედა ორ პუნქტში მითითებული)*

№	ავტორ(ებ)ი	ნაშრომის სათაური	ღონისძიების დასახელება	გამოცემის თარიღი	გამომცემლობა	ადგილობრივი / საერთაშორისო *(მიუთითეთ ერთ-ერთი)*	გამოცემის სტატუსი *(გამოცემული / მიღებული / წარდგენილი)*	ინტერნეტ-ბმული / DOI
1								
2								
3								

2.2. საგრანტო პროექტის მსვლელობისა და განხორციელებისას მიღებული შედეგების გავრცელება საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე (workshop), სემინარებზე, კონფერენციებზე, კონგრესებზე და სხვა ღონისძიებაზე

№	ღონისძიების ჩატარების ადგილი	ღონისძიების ჩატარების თარიღი	ღონისძიების ტიპი	ღონისძიების სტატუსი	თემის სახელწოდება	წარდგენილი მასალა *(თეზისი, მოხსენება / პრეზენტაცია, პუბლიკაცია)*	მონაწილის სტატუსი
1							
2							
3							
4							
5							

2.3. ვებ-გვერდი, ან სხვა ინტერნეტ გვერდი *(მიუთითეთ URL მისამართი, რომლის მეშვეობითაც ხდება კვლევის შედეგების დისემინაცია. თან დაურთეთ თითოეული საიტის მოკლე აღწერა და შესაბამისი პუბლიკაციების სათაურები ბმულებით)*

URL მისამართი	გამოქვეყნებული პუბლიკაციის სახელწოდება/მოკლე აღწერა

2.4. ტექნოლოგიები, ტექნიკა/მეთოდოლოგია/პროცედურა/დანადგარი *(აღწერეთ ტექნოლოგიები, ტექნიკა/მეთოდოლოგია/პროცედურა/დანადგარი, რაც მიიღეთ კვლევის შედეგად. აღწერეთ მათი გაზიარების, გავრცელების სტრატეგია)*

2.5. გამოგონებები, საპატენტო განაცხადები, და/ან ლიცენზია (სხვა საავტორო უფლებები) *(აღწერეთ კვლევის შედეგად მიღებული საავტორო უფლებები, მიუთითეთ საავტორო უფლების მიმნიჭებელი ორგანიზაცია, სტატუსი, თარიღი, ვადა, გამოყენების სფერო)*

- პატენტი
- საავტორო უფლება (DOI-ს მითითებით) (copyright) კვლევის დამთავრების თანავე კვლევა გახდება ავტორიზირებული ექსპერიმენტი
- ინდუსტრიული დიზაინის უფლება
- სავაჭრო ნიშნები (trade marks)
- საქონლის გაფორმება (trade dress)

2.6. სხვა პროდუქტები *(აღწერეთ კვლევითი პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სხვა პროდუქტები)*

- მონაცემთა ბაზები
- ფიზიკური კოლექციები
- აუდიო, ან ვიდეო პროდუქტები
- მასალები / კვლევის მასალები
- პროგრამა
- მოდელი
- საგანმანათლებლო დამხმარე მასალები
- ინსტრუმენტები, ან დანადგარები
- კვლევის შედეგად ინიცირებული სხვა პროდუქტები (მაგ ბიზნესის დაწყება/კავშირი საწარმოსთან და სხვა)

3. პროექტის ძირითადი მიღწევები (შუალედური/საბოლოო)

№	მიღწევები	მიღწევების აღწერა
1	პროექტის ფარგლებში მიღებული მნიშვნელოვანი დასკვნა	
2	პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ან/და საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხი *(ახალი კვლევითი ჯგუფების ჩამოყალიბება, არსებული ჯგუფების კონსოლიდაცია)*	
3	პროექტის მნიშვნელობა სამეცნიერო საზოგადოებისათვის	

4	კვლევის შედეგების გამოყენება/იმპლემენტაცია საგანმანათლებლო პროცესში *(ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში)*	
5	კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების მოკლე აღწერა	

4. პროექტის შედეგების მოკლე რეზუმე და ანგარიში (შუალედური/საბოლოო)

(გასაგები უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის. რეკომენდირებულ სიტყვათა რაოდენობა - 250. რეზუმე უნდა მოიცავდეს პროექტის შედეგების მოკლე აღწერას. აგრეთვე, პროექტის განხორციელებისას გამოკვეთილ პერსპექტივებს და პროექტში მიღებული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობას).

5. სირთულეები, პროექტის განხორციელების პროცესში

ჩაიწერეთ სხვადასხვა ტიპის სირთულეები. მაგ: სამეცნიერო მუშაობისას წარმოქმნილი სირთულეები, ტექნიკური სირთულეები და სხვა.

№	სირთულეები	სირთულეების გამომწვევი მიზეზები	გადაწყვეტის/ მოგვარების გზები (რა ზომები იქნა მიღებული არსებული სირთულეების გადასალახად)
1			
2			
3			

შენიშვნა: *საბოლოო ანგარიშში ასახული მასალები დანართის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ან/და ნაბეჭდი სახით.*